## გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიის წევრის ფუნქციები (მუხლი 66)

**ყურადღება!**

გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურა იწყება კენჭისყრის დღის 9 საათიდან და სრულდება 19 საათზე.

- კენჭისყრის დღის 9 საათიდან კომისიის თავმჯდომარემ უნდა გადმოგცეთ:
  - ✓ გადასატანი საარჩევნო ყუთის სია;
  - ✓ ამომრჩეველთა რეგისტრატორის მიერ ხელმოწერითა და რეგისტრატორის ბეჭდით დამოწმებული საჭირო რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენები;
  - ✓ სპეციალური კონვერტები;
  - ✓ დალუქული გადასატანი საარჩევნო ყუთი, რომელშიც მოთავსებული უნდა იყოს საკონტროლო ფურცელი.
- ამომრჩეველთან მისვლისას სთხოვეთ მას, წარმოადგინოს:
  - ✓ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი;
  - ✓ იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის შემთხვევაში – დევნილის მოწმობა საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობასთან ან საქართველოს მოქალაქის პასპორტთან ერთად.
- შეადარეთ ამომრჩევლის პირადი ნომერი გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში არსებულ პირად ნომერს.
- გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში ხელმოწერით დაადასტურეთ საარჩევნო ბიულეტენის გაცემა.
- სთხოვეთ ამომრჩეველს, გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში თავისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით დაადასტუროს საარჩევნო ბიულეტენის მიღება.
- გადაეცით ამომრჩეველს ამომრჩეველთა რეგისტრატორის ხელმოწერითა და რეგისტრატორის ბეჭდით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენი.

- ამომრჩევლის მიერ ბიულეტენის შევსების შემდეგ გადაეცით მას სპეციალური კონვერტი და მიუთითეთ, მოათავსოს მასში გადაკეცილი საარჩევნო ბიულეტენი.
- სთხოვეთ ამომრჩეველს, მოათავსოს სპეციალური კონვერტი გადასატან საარჩევნო ყუთში.
- კენჭისყრის დასრულების შემდეგ გადასატანი საარჩევნო ყუთის ჭრილი იმგვარად დალუქეთ, რომ შეუძლებელი იყოს ლუქის დაზიანების გარეშე მისი გახსნა.
- კენჭისყრის დღის არაუგვიანეს 20 საათისა გადასატანი საარჩევნო ყუთი დააბრუნეთ საარჩევნო უბანზე.
- კენჭისყრის შენობაში დაბრუნების შემდეგ კომისიის მდივანს გადაეცით გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენები და სპეციალური კონვერტები. დაელოდეთ კომისიის თავმჯდომარის შემდგომ მითითებებს.

**ყურადღება!**

- თუ დაირღვა გადასატანი საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა, ეს დაუყოვნებლივ აცნობეთ კომისიის თავმჯდომარეს. შეადგინეთ შესაბამისი ოქმი (აღნიშნეთ მიზეზი) და ხელი მოაწერეთ თანმხლებ პირებთან ერთად. დაელოდეთ კომისიის თავმჯდომარის შემდგომ მითითებებს.
- გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა მიმართ მარკირება არ გამოიყენება.
- „ფიზიკური მდგომარეობის“ გამო ამომრჩევლის მიერ გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის შემთხვევაში გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის გრაფაში „ამომრჩევლის ხელმოწერა“ გააკეთეთ ჩანაწერი „ფიზიკური მდგომარეობა“ და ხელმოწერით დაადასტურეთ.
- „ფიზიკური მდგომარეობის“ მქონე ამომრჩევლის (აგრეთვე იმ ამომრჩევლის, რომელსაც დამოუკიდებლად არ შეუძლია საარჩევნო ბიულეტენის შევსება) ნაცვლად მისი თანდასწრებით საარჩევნო ბიულეტენს ავსებს, სპეციალურ კონვერტში ათავსებს და კონვერტს გადასატან საარჩევნო ყუთში აგდებს მის მიერ არჩეული პირი (გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა).